სახალხო გაზეთი

№ 136 ოთხშაბათი, 20 ოქტომბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 136

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამკლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ხ. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მოხსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—პირუის მოედანი

ზელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ზელ მოწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახავენ, ინახავენ ერთის თვით მხოლოდ დ'დი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნამუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი განქის ქ. № 12.

ფოსტის ადრეს: Тифлисъ, Большая Ванкская ул. N 12, Семену Пашалишвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ეძღვნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

*****ზელის-მოწერთა საყურადღებოდ*****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიღებლობაზე ზელისმოწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა დიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 12.

ხუთშაბათს, 21 ოქტომბერს, 1910 წელს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ **ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა:

ნიშანი ყოფა-ქცევაში

დრამა 4 მოქმედებად ა. შგაიერისა, თარგმანი ვ. მალაქიამვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ბ-ნნი: ვიქტორელი კარგარეთელი, ლექავა, ლოლუა, ქილარჯიმვილი, ჯავახიშვილი, ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, არადელი გ. ალექსიძე ა. გვარამე ნ. ყივიძე, მატარაძე გ. მგალობლიშვილი დ. მამფორია ა. საფაროვი, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოება. **რეჟისორი ვლ. ს. ალ.-მესხიშვილი**

ადგილების ფასი: გალერეია 20—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში მეგირდებისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებენ, ამიტომ მეხამე ზარის შემდეგ ყველანი თავ-თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

მზადდება წარმოსადგენად: „სად მიხვალ?“ „ოორი ენება“ „ნოორი თაოება“ „მირრა ეფრეხა“ და სხვ.

რ. ა. პოლრეწუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან,

ოდესიდან და პეტერბურგიდან

დიდ ქალი

ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები,

იუბკები, ზედა და ქვედა ხალათები

კაბების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოგებული მაქვს საკუთარ მისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ზიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—17)

ერთად ერთი მარჯვე და შესაფერისია ოჯახ-ბოგით საცხოვრებლად ახლად შეკეთებული

მუხრანის ნომრები

დღე-ღამეში 70 კ.-დან 5 მ.-დე ჭდირს, თვიურად 15 მან. 100 ჩანეთამდე. ოთახების უმეტესობას აივნები და ფანჯრები ქუჩის მხარეს აქვს. ოთახები მშვენივრად მოწყობილია. განათებულია ელექტრონით. ცივი და თბილი საბანაოები. ფეხისადგილები ტენნიკის უკანასკნელ მოთხოვნილებისამებრ. მსახურნი ზრდილობიანი და მკვირცხლნი. აქვე არის კომისიონერი. (30—155—3)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. ზიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ე. ბ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. ბოლოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოლოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ. 467)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი საშობაოდ განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტიცელის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ბ. ნერ. და ელექ., ორ-ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკა გ. ბ. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარბინი ბ. ბ. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

ბალბაშვილი გ. ვ. შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.

ვაჭიძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორ-შაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირბადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

ბაბოვი ვ. ბ. ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე 2—2-ნახ. ს.

სობოლევსკი ვ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიური. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც გაგზავნს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაციკოხსულტაც., ელექტრონით წაძ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. საფასურით. (200—ნ.—304)

„სახალხო გაზეთის“ კანტორა

აცხადებს, რომ 1 ღვინობისთვიდან მოესპო გაზეთის გზავნა იმ ხელის მომწერთ, ვისაც წლის ბოლომდის არ ჰქონდა 8 მან. 50 კაპ. შემოტანილი. აგრეთვე მოესპოთ გზავნა თვიურ ხელის მომწერთაც, რომელთაც 1 ოქტომბრისთვის არ შემოიტანეს ხვედრი ფული.

მოკვაგონებთ **წლიურ ხელის მოწერთ, რომ პირობით პირველ ენკენისთვეს უნდა გადაეხადათ** წლიური ხელის მოწერის ფასი. ვისაც სრულად არა აქვს შემოტანილი, დააჩქარონ და შემოიტანონ.

ვისაც ფული აქვს გამოსაგზავნი აუცილებლად ამ მისამართით გამოგზავნონ: Тифлисъ, Болшая Ванкская № 12, Семену Пашалишвили.

კანტორა პასუხის-მგებელი არაა, თუ ფული სხვა მისამართით იყო გამოგზავნილი და გაზეთი არ მიუვიდათ. ვინც „სახალხო გაზეთზე“ ან სხვა სახელზე გამოგზავნა ფული, დაიჩქაროს და განცხადება შეიტანოს ფოსტის კანტორაში ფული ზემოდ ნაჩვენებ ადრესზე გადასცენ.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა.

მოითხოვეთ ახალი პაპიროსი

„ანფისა“

ფასი 15 ცალი 6 კაპ.
„ 25 „ 10 კაპ.

„მირის“ ფაბრიკისა.

მიუხედავად იაფი და ყველასათვის მისაწვდომ ფასებისა, პაპიროსი **„ანფისა“** შემზადებულია მაღალ ხარისხოვან და გემოვნების თამბაქოსაგან.

მიაქციეთ ყურადღება საუკეთესო ხარისხის გემოვნებას. (15—150—1)

ექიმი **ბ. ნ. მაგაკიანი** ფილაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (ნაზოგადო). მიწილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 382. (100—წალ.—58)

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ნუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 6. ხაჩოლი გაბაშვილისა (ლ)

ექიმი **კბილიანი ნინო რაზილაძე** იზმაილოვზე N 2. **გადავიდა** ვის ქუჩ. ... ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** იღებს ფილაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კანეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი **ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-ამდე. ვორონინის ქ., № 9. (ლ)

ექიმი **კბილიანი ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, ხაზლი მდინარეზე. (ლ)

ექიმი **რ. დ. მაჭავარიანი** იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაგინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—1½)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით.

ვერა, ყორდანოვის ქ. 20. (0—ნ.—64)

მასწავლებელი

ამზადებს შეგირდებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისათვის. ნახვა შეიძლება დილის 8—11 საათამდე და საღამოს 3—5 ს-მდე. მიხაილოვის ქ. № 144. (25—162—1)

ტფილისი, 20 ოქტომბერი

გუნება პრინციპების მაგიერ.

შუაგულ რუსეთთან შედარებით, ჩვენი ქვეყანა ბევრად უფრო ცუდ პირობებშია ჩაყენებული იმით, რომ ჩვენში დღეს კიდევ არ არის შემოღებული ერობა და საერობო გადასახადი ისე, რ იხარჯება, როგორც ამას ჩვენი გაჭირვება მოითხოვს. ამის შესახებ ბევრი თქმულა, ბევრი დაწერილა, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა და საფიქრებელია, რომ კიდევ დიდ-ხანს არ ეშველებიან. უფლება ჩვენში შეგროვილი გადასახადი ჩვენვე დავხარჯოთ და მოვიხმაროთ.

ამიტომ საჭირო ვიღონოთ რამე და სხვა საშუალებით, სხვა გზით დავიკმაყოფილოთ ყველა ის საზოგადო მოთხოვნილება, რომელსაც შიდა რუსეთში ერობა აკმაყოფილებს და რომელსაც ჩვენში მთავრობა უყურადღებოდ სტოვებს და ერიდება.

ჩვენმა მეზობელ, სომხებმა დიდი ხანია შეიგნეს ასეთ მოქმედების საჭიროება, დაიარსეს „კულტურული კავშირი“, რომელმაც დიდი ცვლილება შეიტანა სომხის სოფლებში, და ბევრგან ერობის მაგიერობა გასწია.

საზოგადო საქმის გაკეთება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანს ეს საქმე საფუძვლიანად შესწავლილი აქვს, როდესაც ადამიანი თავის სამოქმედო გეგმას წინდაწინვე შეადგენს და სავლელ გზას წინდაწინვე დაწვრილებით გაითვალისწინებს.

სამოქმედო გეგმის წინდაწინვე შედგენა განსაკუთრებით საჭიროა ჩვენში, რადგანაც აუარებელი გასაჭირი გვადგია, ათასი მოთხოვნილება გვაწუხებს და ამ ასაჭირის თავიდან მოსაშორებლად, მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, საკმარისი ფული არა გვაქვს, შესაფერი პირები არ მოგვეპოვება.

მაგრამ ჯერ უნდა გავითვალისწინოთ ყველა საჭიროება, უნდა ვიანგარიშოთ ჩვენი ქონება, უნდა გავიხსენოთ ჩვენი სამოქმედო პირობები და შემდეგ იმ საჭიროების დაკმაყოფილებას შევუდგეთ, რომელიც უფრო საჭირო და, დღეს დღეობით, უფრო საადვილოა. ამნაირად, რასაც მივწვდებით, დღეს შევასრულებთ, ხვალ გავაკეთებთ, მაგრამ ხვალინდელი გაკეთებული დღევანდელ ჩვენი ნამოქმედარის გაგრძელება და შევსება იქნება.

ჩვენში ასეთი წინდაწინვე დაგეგმილი მოქმედება არ უყვართ და ამიტომაც განვითარების და წინსვლის მაგიერ ზოგიერთ საქმეში მაინც უფრო უკან, უკან ვიწევთ და ვიღუპებით. საქმის გადამწყვეტი დღეს კიდევ, მეოცე საუკუნეში, ჩვენთვის გუნება არის და არა გონება, გუნებას მივდევთ და გვგონია, რომ მას გონების მაგიერობა შეჰშვენის ან შეუძლიან ამომრჩევლების გუნებამ ჩაბარა საზოგადო საქმეების გაძღოლა ზოგიერთ ისეთ პირს, რომელსაც გონება ყოველთვის დაიწუნებდა. ამ არჩეულ პირების გუნებამ საზოგ დო საქმეებს ჩამოაშორა ყველა, ვინც მათი ნამოქმედარის მაქებარი არ არის.

სწორედ ამიტომ იცვლება ასე ხშირად ჩვენი საზოგადო საქმეების მსვლელობა. შეეცვალა ამომრჩევლებს გუნება და საქმის სათავეში მდგომ სასარგებლო პირსაც ადვილად მოიშორებენ; მეთაურს შეეცვალა გუნება, და ის პირი, რომელიც გუშინ მისივე სათაყვანებელი იყო, დღეს განზე რჩება და მის ადგილს სხვა, ახლად მოწონებული ვინმე იჭერს დროებით, სანამ მაზედაც არ გამოეცვლება გუნება იმას, ვიზედაც მისი დაყენება დამოკიდებულია.

ეს გუნების გაბატონება საზოგადო საქმეებს ჰოუპავს, რადგანაც სწორედ საზოგადო საქმეში პირად გუნებას არავითარი ადგილი არა აქვს, სწორედ საზოგადო საქმეში ადამიანმა თავისი პირადი „მე“, თავისი საკუთარი გუნება, თავისი მეგობარ-მოყვრობა უნდა დაივიწყოს და სამოქმედოდ გონებისაგან ნაჩვენებ გზას დაადგეს, იმ პირებს მიეკედლოს, რომელთა მიმხრობას საქმის საჭიროება მოითხოვს.

როგორც სახელმწიფო საქმეების მართვასა და გამგეობაში წინანდელ, თვით პურობელურ პირად გუნების მაგიერობას თანდათან, კანონიერება ეწევა, როგორც სახელმწიფოში გონებისაგან შემუშავებულ კანონს უნდა დაემორჩილონ თვით სახელმწიფო უფლების მქონე პირებიც, ისე საზოგადო საქმეებში არჩეულ პირსაც სავალდებულოდ უნდა ჰქონდეს არა საკუთარი სურვილი და სიმპატიები, არამედ საზოგადოების მოთხოვნა და ობიექტიურად, მიუკერძებლად გაგებული საზოგადოების საჭიროება.

როდესაც საზოგადოება ვინმე პირს საქმის სათავეში აყენებს,—ამით მას ნდობას უცხადებს, მაგრამ არჩეულმა პირმა ეს ნდობა იმისათვის თუ გამოიყენა, რომ შემდეგ საქმეში თავისი პირადი სურვილი გაბატონოს, ამითი იგი საზოგადოებას ღალატობს და საქმესაც ძირს უთხრის და გვაღუპვინებს. აქაც ის თვითმპყრობელური გუნება თავს იჩენს, რომელიც სახელმწიფო საქმეების მართვასა და გამგეობაში დიდი ხანია უარჰყო და მავნებელად სცნო ცხოვრებამ. ეს თვითმპყრობელური გუნება შეუძლებლად ჰხდის დაგუბებულ საზოგადო მოღვაწეობას და სპობს ამ მოღვაწეობის თანაობას.

და,—სანამ ჩვენში ეს თვითმპყრობელური ჩვეულებები არ მოისპობა, და საზოგადო საქმეებში გუნების ბატონობა არ მოიშლება,—ძნელია რამე სასარგებლო ცვლილების განხორციელება, ძნელია საზოგადო ფულის დახარჯვა ისე, რომ მის ხარჯს სისტემა ეტყობოდეს და შესამჩნევი სარგებლობა მოჰქონდეს.

ბავშვი ყვავილისა

გამოცემა **მიხეილ ნემსაძისა**

ფასი 10 კაპეიკი.

ადრესი: ტფილისი, ქართველთა ამხანაგობის სტამბა.

ტელეფ. № 372.

ექიმი **ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., ს. ღამეთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—240)

ექიმი **ე. ი. მინასიანცი** სწამლობს შინაგან, საბავშვო და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ Mathieu-სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—3)

სახელმწიფო სათათბირო

თავმჯდომარეობს **ვოლკონსკი.** მინისტრთა ლოჟაში სახალხო განათლების მინისტრი და უწმინდეს სინოდის ობერ-პროკურორია.

განსახილველად წამოყენებულია პირველ დაწყებით სკოლების კანონ-პროექტი.

ჩიხაჩევი აცხადებს, რომ რუსეთის ნაციონალური ფრაქცია სრულიად ეთანხმება კანონ-პროექტის დედააზრს, პირველ-დაწყებით სკოლების დანიშნულებაზე, რათა სკოლა იძლეოდეს ნაციონალურ-პატრიოტულს აღზრდას და მოსწავლეებს გონებას უნვითარებდეს. განსაკუთრებითის მნიშვნელობით იხსენიებს, რომ რუსის სოფელს სარწმუნოება იცავსო.

რამდენიმე შენიშვნის შემდეგ, იგი მიმართავს სამინისტროს, გაიუმჯობესეთ მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობაო (მარჯვნივ ტაშის ცემა).

მღვდელი ტიტოვი აღნიშნავს, რომ კანონ-პროექტი ისე ფართედ ვერ ეხება სახალხო განათლების საქმეს, როგორც ეს სხვა სახელმწიფოებშია. სკოლა საზოგადოებისა უნდა იყოს, სამინისტრო კი მხოლოდ მეთვალყურეობას უნდა უწევდეს. ამ მხრივ სამინისტროს პროექტი ვერ გვაკმაყოფილებს. სახალხო განათლება მხოლოდ მაშინ ემსახურება კულტურულ მიზანს, როდესაც იგი მთლად დამორებული იქნება პოლიტიკისა და პოლიციურ მზრუნველობისაგან. (ტაშის ცემა მარცხნივ, მარჯვნივ სტვენა).

ბულატი მთელ საათს ლაპარაკობს, პროექტში მოხსენებულ საყოველთაო სწავლის შემოღებაზე და ამ მოვლენაში საზოგადოებრივ აზრის მთავრობაზე გამარჯვებასა ხედავს. თუმცა აღნიშნავს, რომ პროექტში საკითხი სწორედ ვერაა დაყენებული. ორატორის აზრით, ვერც ვ ივნისის სათათბირო, ვერც მინისტრთა საბჭო, რომელიც წარსულის რეჟიმის ხორცი-ხორცთაგანია, ვერ შესძლებენ პროექტის შესწორებას და ვერც ეობანი შესძლებენ მათს განხორციელებას ცხოვრების მოთხოვნილებისამებრ. ორატორი აღნიშნავს, რომ ნამდვილ მოღვაწეთ დახშული აქვთ სკოლის კარები; ამბობს, რომ ცენტრი თავის დღეში ვერ შესძლებს მთელს იმპერიაში გაფანტულ სკოლების ხელმძღვანელობას...

ბოლოს ორატორი აღნიშნავს, რომ სასკოლო საქმე მხოლოდ იმ

გვარად უნდა მოეწყოს, როგორც ეს განზრახული იყო მეორე სათათბიროში შემუშავებულ ძირითად დებულებითაო.

მილიუკოვი. ერთ საათს ლაპარაკობს, რომ კომისიის მიერ სწორედ აღნიშნული დებულებანი, მაინჯად დაუმუშავებიათო. საყოველთაო სწავლის საკითხი უკვე გადაწყვეტილია თვით ცხოვრებით და სამინისტროს მიერაც. ახალ რეფორმის დროს, საჭიროა მხოლოდ ძველ ავტონომიურ ორგანოების უცვლელად დატოვება. ხსენებულ **პროექტს კი განზრახვა აქვს საერობო** სკოლები სამინისტროს სკოლებად გადააქციოს. ერობის სკოლის ავტონომიის შეზღუდვა, თავისთავად ცხადჰყოფს, სამრევლო სკოლების ავტონომიის განმტკიცებას და გამოსარჩლებას. ეს გამოსარჩლება კი ისე უნდა მივიჩნიოთ, როგორც მთავრობის სურვილი საერო **სკოლების** შეზღუდვით, შეამცირონ **პოლიტიკურ** გავლენის შიში. ორატორი ეხება **ლვოვ მეორის** სიტყვას და ამბობს, რომ იგი (ლვოვი) პირველი მოქადაქეა რუსეთის სკოლაში კლერიკალიზმის გამეფებისა. სკოლა ყველა ბოვშვებში უნდა ნერგავდეს სამშობლოს სიყვარულს... პაულ სონმა სთქვა, რომ რომელ სახელმწიფოსაც სინიდისი წმინდა აქვს, რომელ ქვეყანასაც სწამს თავისი თავი და სახელმწიფოს მთლიანობა —მასა სწამს ხალხიც. უკეთუ სახელმწიფოს თავისი თავის რწმენა არ მოეპოვება, ცუდი ნიშანია: იგი ალაჩრებს თავის ქვეშევრდომთაც (ტაშის ცემა მარცხნივ).

ფონ-ანდრეპი აცხადებს, რომ მილიუკოვის სიტყვა სოფიზმებითაა აჭრელებული, მაგრამ ბოროტის განზრახვით გაჟღენთილი (მოძრაობაა) ის ადგილი კი, სადაც მე მეხებოდა, სრული ცილის-წამებაა (მოძრაობა).

ლეონოვი აცხადებს, რომ, პირველ-დაწყებით სწავლის საკითხის გარჩევის დროს, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ განაპირა ქვეყნები და სამრევლო სკოლები. კანონ-პროექტი კი „ინოროდცების“ სკოლებს მხოლოდ გაკკრით იხსენიებს **მეთვრამეტე** მუხლში. ორატორი გაიხსენებს სოლოვიოვისა და პობედონოსცევის აზრს და სცდილობს დაამტკაცოს, რომ სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს „ინოროდცების“ სკოლას ფართო გზა მიეცესო. მხოლოდ ყოველ მხრივი განხილვა სასკოლო საკითხისა, მოსპობს პირველ-დაწყებით სწავლის სიჭრელეს, რომელიც ხელოვნურმა ზომებმა წარმოშობა — სათათბირო მოვალეა, ეს შეასრულოს (ტაშის ცემა ცენტრში და მემარცხენეთა ერთ ნაწილში).

ორატორთა ჩაწერვა შესწყვიტეს. ჩაეწერა 61 ორატორი.

მომხსენებელი ლვოვი მილიუკოვის საპასუხოდ ინგლისის პირველ-დაწყებით სკოლის კანონს იხსენიებს და ამბობს, რომ მილიუკოვს არა სცოდნია ინგლისის კანონმდებლობაო.

ეპისკოპოსი ევლოგი. ეხება პროექტში მოხსენებულ მუხლს სამრევლო სკოლების შესახებ და ამტკიცებს, რომ ამ ტიპის სკოლები უნდა დარჩეს; არავითარ შემთხვევაში სამრევლო სკოლა საერო სკოლაში არ უნდა გაითქვიფოს და მუდამ სასულიერო პირია ხელმძღვანელობას უნდა ექვემდებარებოდეს. მეფე ალექსანდრე III მიერ დადასტურებული, სამრევლო სკოლამ 25 წლის განმავლობაში დიდი ნაყოფი მოიტანა, გაფართოვდა და ეხლა 40000 სკოლაა და ორი მილიონ მოსწავლეზე მეტი ჰყავს. ორატორი რაჩინსკის მოხსენებას იმოწმებს და ამბობს, რომ სამრევლო სკოლა მეტად მშვენიერია, იგი ეკლესიის კარი ბჭეს ედარება. პროექტს განუზრახავს სამრევლო სკოლა სამინისტროს დაუმორჩილოს, ეს—არ ივარგებს და არც ხელ საყრელია, როგორც ნივთიერის, ისე საქმის არსებითის მხრივ, ვინაიდან ვერც ერთი ერის კაცი ისეთს ხელმძღვანელობასა და სამღვთო სჯულის მასწავლებლობას ვერ გასწევს, როგორც სამღვდელო პირი.

საეკლესიო სკოლას თავისი ცხრა საუკუნის ისტორია აქვს. ამისთვის ორატორი აფრთხილებს სათათბიროს: არამ კ და არამც სამრევლო სკოლა საეროს არ დაუკავშიროთო.

სუშკოვი. წინააღმდეგია დამოუკიდებელ სამრევლო სკოლისა.

კროპოტოვი. სრულიად წინააღმდეგია სამრევლო სკოლისა, მას საჭიროდ მიაჩნია მთავრობას ჩამოართვას ყველა სკოლები და გადავიდეს საზოგადოებებისა და ხალხის ხელში, რათა იგი გახდეს სახალხოდ.

ეპისკოპოსი მიტროფანე ეთანხმება, რომ პირველ-დაწყებითი სკოლა სახელმწიფოს ცხოვრების ერთი უმთავრესი მხარეთაგანია, მაგრამ კანონ-პროექტის წინააღმდეგ ილაშქრებს, რადგან იგი რუსეთის განათლების ისტორიისა და ხალხის ტრადიციებს ეწინააღმდეგებაო. ორატორი განსაკუთრებულ ყურადღებას იმას აქცევს, რომ ძველთაგანვე ხალხის სარწმუნოებრივ ზნეობრივი აღზრდა სასულიერო წოდების ხელში იყო. საეკლესიო სკოლამ მეფის ნდობა დაიმსახურა და გაამართლა კიდეც და ვერც მისი მოწინააღმდეგენი უარჰყოფენ სამრევლო სკოლის ღვაწლს. იგი დაკავშირებულია ხალხის საუკეთესო რწმენასთან, განმსჭვალულია მის უმაღლეს მისწრაფებითა და სასოებით და მედგრად უმკლავდება და გაუძლებს კიდეც მოწინააღმდეგეთა მოქნეულს მახვილს, რომელნიც მას სიმართლის ძალით კი არა, ძალ-მომრეობის იარაღით ებრძვიან. დღევანდელ გართულებულ ცხოვრებაში, სახელმწიფოში სკოლას სხვა და სხვა გვარი ელფერი უნდა ედვას, ხოლო ერთი რამ უნდა იყოს უცვლელი— ეს — სარწმუნოებრივ — ზნეობრივი მიდრეკილებაა სკოლისა.

პირადის საკითხის გამო, მილიუკოვი ადის ტრიბუნაზე.

შემდეგი სხდომა ოთხშაბათისთვის დაინიშნა.

დეკეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსგან)

19 ოქტომბერი.

საზღვარ-გარედ

სტამბოლი. გაზეთები თანაგრძნობით იხსენიებენ ადგილობრივ სპარსეთის კომიტეტის მიერ ინგლისის პარლამენტში გაგზავნილ ადრესს. ამ ადრესში სპარსელთა კომიტეტი სთხოვს ინგლისის პარლამენტს, შეაჩერეთ ინგლისის მთავრობის მტრული პოლიტიკა სპარსეთის მიმართო.

ლისაბონი. 17 ოქტომბერს დატუსაღებული, დიქტატორად ნამყოფი ფრანკო გაანთავისუფლეს, მან გირაოდ ერთი მილიონი ფრანკი წარადგინა.

ლონდონი. ბუშირიდან რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ: სპარსეთის სრუტეში ლინგანის ნავთსადგურში, 14 ოქტომბერს ინგლისის გემმა „ფოკსმა“ ასი მეომარი გადასვა. ეს ზომა გამოუწვევია ადგილობრივ მკვიდრთა მუქარას, ქალაქს გადავწვავთო და იმასაც, რომ ადგილობრივ მთავრობას უცხოელთა ინტერესების დაცვა ვერ მოუხერხებია.

პეკინი. ჩინეთის მთავრობამ ხელშეკრულება დასდო ამერიკელ ბანკირებთან და 50 მილიონი ოქროს დოლარი ისესხა. ამ სესხით ჩინეთსა სურს ზარაფხანის გაუმჯობესობა და მრეწვილობის განვითარება

პარიზი. დეპუტატთა პალატა. რეინოს მიერ წარდგენილ, მორიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულა, მთავრობამ შეიწყნარა და პალატამაც მიიღო. ფორმულა ასეთია: პალატამ განიხილა რა საბოტაჟის, ძალმომრეობის და ანტიპატრიოტიზმის საქმე, იწონებს მთავრობის საქციელს და სწამს, რომ მთავრობა დაიცავს მუშათა ინტერესებს კანონიერს ფარგლებში, და აგრეთვე რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესებს.

ბუქარესტი. ოპოზიციური გაზეთები ილაშქრებენ ბულგარიის წინააღმდეგ, რომ მეზობლებს აგრესიულის ზომებით აწუხებ და ამ გზით პროვოკაციას ეწევიო. კონსერვატიული გაზეთები ამბობენ, რომ, რადგანაც ბულგარია არეულობისა და შფოთის ბუდედ გარდაიქცა, საჭიროა ძალის საშუალებით დავამშვიდოთო. გაზეთის აზრით, ასეთი მდგომარეობა აუტანელია. ბუქარესტში განზრახული წამლის საწყობის აფეთქებაც, გაზეთის აზრით, ბულგარიის გამზადებული იყო, თუმცა ამის მსგავსი ჯერ არაფერი დამტკიცებულა.

ცეტინიე. ყოველ დღე სალონიკიდან მოსული ცნობები, ვითომ ჩერნიგორია ოსმალეთის სამზღვრებს თავს ესხმის ხოლმე, იმ აზრითაა გავრცელებული, რომ ჩერნიგორია მოუსვენარ ქვეყანად გამოიყვანონ და ამ სახით ჩერნიგორიის მოსაზღვრე მუსულმანების შეიარაღება გაამართლონო. ნამდვილად კი ჩერნიგორია ყოველს ღონესა ხმარობს, რათა მშვიდობიანობა არ დაირღვეს; ამისათვის იგი ოსმალეთიდან გამოქცეულებსაც კი იარაღს ართმევს. ასეთივე განცხადებით ჩერნიგორიის მთავრობას მიუმართავს ოსმალეთის ადგილობრივ მისსისათვის.

პარიზი. ბრიანის გამარჯვებას სიამოვნებით მიეგებენენ,—როგორც საპარლამენტო ტერორზე, ანტიპატრიოტიზმზე და ანარქიაზე გამარჯვებას,—თითქმის ყვნლა ზომიერ-რესპუბლიკელთა და რადიკალთა გაზეთები, გარდა კომბისტების „რაპპელისა“ და სოციალისტურ „ლ'უმანიტესი“. ეს უკანასკნელნი თავს მხოლოდ იმით ღა ინუგეშებენ, რომ კაბინეტს დიდი დღე აღარა აქვს, მით უმეტეს, რომ მისი მომავალი მხოლოდ რეაქციაზე-ღა ემყარებაო. მემარჯვენე გაზეთები „გოლუა“ და „ლიბრ-პაროლი“ აღტაცებულნი არიან და იხარებენ ამ ამბით, რადგან რესპუბლიკანური კაბინეტი უალრეს განსაცდელშიაც პირნათლად და სახელოვანად გამოესარჩლა ჩვენთვის ძვირფას იდეებსაო.

სოციალისტურ პარტიების ნაციონალურმა საბჭომ დაადგინა, მოაწყოს საპროტესტო მიტინგები, გამოსცეს და ქუჩებში გააკრას პროკლამაციები და მოითხოვოს ბრიანის სამართალში მიცემა.

ბერლინი. „პოსტი“ აღნიშნავს ჩინეთის მიერ ამერიკელ ბანკირებიდან აღებულ 50 მილიონიან სესხს და დაასკვნის, რომ ამ მოვლენას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან ორივე ქვეყანას აახლოვებსო. ხოლო ის ამბავი, რომ ეს ფული მანჯურიის საჭიროებაზედაც დაიხარჯება, იმისი მომასწავებელია, რომ ამ სესხს მიზნად ჰქონდა რუსეთისა და იაპონიის მტრული დამოკიდებულება ჩინეთისადმი.

ცეტინიე. ოსმალეთის სამზღვრის დარაჯები კოსოვის ვილაიეტის მიჯნაზე უწესოებას ახდენენ. ოსმალეთის სიფელ კიანიცსა და ჩერნოგორისს სოფ. ვილიკოს შორის მიმოსვლა შესწყდა. ჩერნიგორიის სოფ. ვილიკას, მანსენიჩსა და მოლიმიეს ოსმალებმა სროლა აუტეხეს; ტყვიები მოსახლეთა ბინებში სცვივა. ერთი ბავშვი გაგმირა ტყვიამ. ჩერნიგორიის სამზღვრის კომისსარმა რამდენჯერმე მიმართა ოსმალეთის კომისარს, ერთად მოვილაპარაკოთ, ადგილობრივ გამოვიძიოთ უწესოების მიზეზები და წესიერება აღვადგინოთო; მაგრამ ოსმალეთის კომისსარმა ამაზე ცივი უარი განუცხადა.

ბერლინი. 18 ოქტომბერს ალმით, კიდევ სერიოზული ბრძოლა მოხდა სამხედრო მოედანზე და ჩრდილო რკინის გზის სადგურთან. ბიჭ-ბუჭები პოლიციელებს დაესივნენ, პოლიციელებმა იარაღი იხმარეს და ერთი მათგანი დასჭრეს.

სტამბოლი. 19 ოქტომბერს სალონიკში ახალგაზდა-ოსმალთა კონგრესი იწყება. სხვათა შორის, განიხილავენ საკითხს, თუ რა დამოკიდებულება იქონიონ სამთა კავშირთან.

ურმიის ელჩი დეპეშით ატყობინებს პორტას, რომ სპარსელებმა 15 ოსმალო—სუნიტი მოჰკლეს და ჯარი მომაშველეთო.

რუსეთი

ვარშავა. ქუჩაში უცნობმა რევოლვერით მოჰკლა, დარაჯად მდგარი, პოლიციელი.

ჩელიაბინსკი. სადგ. მიასს გაძარცვისათვის სიკვდილ—მისჯილთ, უმაღლესის ბრძანებით, სასჯელი უვადო კატორღით შეუცვალეს.

პეტერბურგი. ფოსტის მთავარმა გამგეობამ დროებით აკრძალა საზღვარ გარეთ ძინძეულისა, ნახმარის ტანისამოსისა და ლოგინის გზავნა. საფრანგეთსა და სერბიაში აკრძალულია ხილეულისა და ბოსტნეულის გზავნა; გარდა ამისა, სერბიაში აკრძალულია ყველისა, კარაქისა და ამგვარ ნაწარმოების გზავნა.

კიევი. მთავრობამ, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა მიერ წარდგენილ პროექტის თანახმად, შეიმუშავა კანონ-პროექტი, რათა შემოიღოს სამხედრო საზღვაო ბეგარა.

მაკარია. სამგზავრო გემთა მიმოსვლა შესწყდა.

ბელოზერსკი. ბელოზერსკის არხი გაიყინა.

ახალი ამბები

ტფილისი

✦ **ლიტერატურული საქმე.** 18 ოქტომბერს, ტფ. სასამართლო პალატაში წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით გაირჩა საქმე კვირეულ ჟურნალის „ერის“ რედაქტორის პეტრე სურგულაძისა და ნაფიც ვექილის გიორგი გვაზავასი. როგორც წინად ვწერდით, ჟურნალ „ერში“ დაბეჭდილი იყო გ. გვაზავას წერილი „ჩეხია“. ამ წერილისთვის სამართალში მისცეს სიტყვა. ეს ზომა გამოუწვევია ადგილობრივ მკვიდრთა მუქარას, ქალაქს გადავწვავთო და იმასაც, რომ ადგილობრივ მთავრობას უცხოელთა ინტერესების დაცვა ვერ მოუხერხებია.

პეკინი. ჩინეთის მთავრობამ ხელშეკრულება დასდო ამერიკელ ბანკირებთან და 50 მილიონი ოქროს დოლარი ისესხა. ამ სესხით ჩინეთსა სურს ზარაფხანის გაუმჯობესობა და მრეწვილობის განვითარება

პარიზი. დეპუტატთა პალატა. რეინოს მიერ წარდგენილ, მორიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულა, მთავრობამ შეიწყნარა და პალატამაც მიიღო. ფორმულა ასეთია: პალატამ განიხილა რა საბოტაჟის, ძალმომრეობის და ანტიპატრიოტიზმის საქმე, იწონებს მთავრობის საქციელს და სწამს, რომ მთავრობა დაიცავს მუშათა ინტერესებს კანონიერს ფარგლებში, და აგრეთვე რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესებს.

ბუქარესტი. ოპოზიციური გაზეთები ილაშქრებენ ბულგარიის წინააღმდეგ, რომ მეზობლებს აგრესიულის ზომებით აწუხებ და ამ გზით პროვოკაციას ეწევიო. კონსერვატიული გაზეთები ამბობენ, რომ, რადგანაც ბულგარია არეულობისა და შფოთის ბუდედ გარდაიქცა, საჭიროა ძალის საშუალებით დავამშვიდოთო. გაზეთის აზრით, ასეთი მდგომარეობა აუტანელია. ბუქარესტში განზრახული წამლის საწყობის აფეთქებაც, გაზეთის აზრით, ბულგარიის გამზადებული იყო, თუმცა ამის მსგავსი ჯერ არაფერი დამტკიცებულა.

ცეტინიე. ყოველ დღე სალონიკიდან მოსული ცნობები, ვითომ ჩერნიგორია ოსმალეთის სამზღვრებს თავს ესხმის ხოლმე, იმ აზრითაა გავრცელებული, რომ ჩერნიგორია მოუსვენარ ქვეყანად გამოიყვანონ და ამ სახით ჩერნიგორიის მოსაზღვრე მუსულმანების შეიარაღება გაამართლონო. ნამდვილად კი ჩერნიგორია ყოველს ღონესა ხმარობს, რათა მშვიდობიანობა არ დაირღვეს; ამისათვის იგი ოსმალეთიდან გამოქცეულებსაც კი იარაღს ართმევს. ასეთივე განცხადებით ჩერნიგორიის მთავრობას მიუმართავს ოსმალეთის ადგილობრივ მისსისათვის.

ბერლინი. 18 ოქტომბერს ალმით, კიდევ სერიოზული ბრძოლა მოხდა სამხედრო მოედანზე და ჩრდილო რკინის გზის სადგურთან. ბიჭ-ბუჭები პოლიციელებს დაესივნენ, პოლიციელებმა იარაღი იხმარეს და ერთი მათგანი დასჭრეს.

სტამბოლი. 19 ოქტომბერს სალონიკში ახალგაზდა-ოსმალთა კონგრესი იწყება. სხვათა შორის, განიხილავენ საკითხს, თუ რა დამოკიდებულება იქონიონ სამთა კავშირთან.

ურმიის ელჩი დეპეშით ატყობინებს პორტას, რომ სპარსელებმა 15 ოსმალო—სუნიტი მოჰკლეს და ჯარი მომაშველეთო.

რუსეთი

ვარშავა. ქუჩაში უცნობმა რევოლვერით მოჰკლა, დარაჯად მდგარი, პოლიციელი.

ჩელიაბინსკი. სადგ. მიასს გაძარცვისათვის სიკვდილ—მისჯილთ, უმაღლესის ბრძანებით, სასჯელი უვადო კატორღით შეუცვალეს.

პეტერბურგი. ფოსტის მთავარმა გამგეობამ დროებით აკრძალა საზღვარ გარეთ ძინძეულისა, ნახმარის ტანისამოსისა და ლოგინის გზავნა. საფრანგეთსა და სერბიაში აკრძალულია ხილეულისა და ბოსტნეულის გზავნა; გარდა ამისა, სერბიაში აკრძალულია ყველისა, კარაქისა და ამგვარ ნაწარმოების გზავნა.

კიევი. მთავრობამ, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა მიერ წარდგენილ პროექტის თანახმად, შეიმუშავა კანონ-პროექტი, რათა შემოიღოს სამხედრო საზღვაო ბეგარა.

მაკარია. სამგზავრო გემთა მიმოსვლა შესწყდა.

ბელოზერსკი. ბელოზერსკის არხი გაიყინა.

ბრდილოეთში

თოვლი, კვლავ თოვლი, ყინული ირგვლივ,
თოვლის მინდორი, თოვლის უდაბნო,
თეთრი სუდარა, თეთრი ცრემლები,
თეთრი სამარ,ე ტლუ და უდაფნო!
გასწი, გაფრინდი, ჩემო ნაღველო,
მომიახლოვე სამშობლოს მთები,
რომ ამ გულ-საკლავ ძუნწ არე-მარეს
გადააფაროს თვისი კალთები.
იქნება ისევ გაღაღდეს გული,
ხელი მიიწევს ჩონგურის სიმზე,
იქნებ ამაყად გადავბოტო
ყორნის განათხარ საფლავის პირზე!
თოვლი, კვლავ თოვლი, ყინული ირგვლივ,
თოვლის უდაბნო, თეთრი სუდარა.
„სად არის ჩემი მიწა-სამშობლო?“—
მესმის სიმების კვნესა, მუდარა!
მოიცა ჩანგო, სატრფოს გაყრილო,
ყური დაუგდე ქარის სიმღერას;
ის ხან სისინებს, ის ხან ქვითინებს,
და ხან დასძახის ის ჰოროველას.
ჩუ! ეს ხმა ჩვენი ნაცნობი ხმაა,
წამოღებული, გადმოკარგული;
ბედისგან მწარედ განაწირალი,
ჩანგო, ბევრია აქ დამარხული!
ღედას იმათსას იმათ მაგიერ
ჩვენ გავუგზავნოთ ნიშანი მათი;
და ბრჭყალ-სისხლიან ორბს გამოვაბათ
სამგლოვიარო სევდის ბარათი!
ძმა-ამხანაგებს ჩვენ შევუთვალოთ,
მათი საფლავის ჯვარზე წარწერა,
მივსწეროთ: „ძმებო, ეკლიანი გზა
ჩვენმა ცრემლმა, სისხლმა დაფერა!“
„უკანასკნელად, როდესაც სული
გამწარებული სხეულს ჰხდებოდა,
სამშობლოს ლაჟვარდ ცაზე გაკრული
ჩვენ ცისარტყელა გველანდებოდა!“
მაგრამ კვლავ თოვლი, ყინული ირგვლივ,
თეთრი საფლავი, თეთრი სუდარა.
„შეთვლილ ცრემლს იქაც ცრემლი დაჰხვდება“—
მესმის ჩონგურის კვნესა, მუდარა!

ი. ევდოშვილი.

მცირე აზრი დიდის საქმის შესახებ

ამას წინად შევიძინე ბ. სიმონ ქვარიანის წიგნაკი „საქართველოს ისტორია“ (შემოკლებული კურსი, ქუთაისი, 1910 წ., გვ. 127). ეს ლამაზად გამოცემული წიგნაკი, მშვენიერის, კოხტა ენით დაწერილი მწარე და სამწუხარო ფიქრებსა ჰგვრის დაკვირვებულს მკითხველს.

ისტორია ხალხის ცხოვრების ავკარგის სარკეა; ისტორია მოგვითხრობს ხალხის ზნეობრივ და გონებრივს წინ-მსვლელობაზე. ვისაც თავისი წარსული ცოტაოდენ შეუგნია, შეუსწავლია, იმას უფლება აქვს, თავის ეროვნულ შეგნებაზე იბაასოს. ვინც იცის თავისი წარსული, შეუგნია მისი სული და გული, იმას ნება აქვს ილაპარაკოს, რა არის იგი ამ ჟამად. დარწმუნებული ვარ—და ეს საზოგადო ჭეშმარიტებაა, ერს, რომელსაც შეუმუშავებია თავისი ისტორია, ან ცდილობს შეიმუშავოს, ნება აქვს ილაღადოს თავის კულტურულ შეგნებაზე. ერი, რომელსაც სწყურიან გაიგოს თავისი ვინაობა, უეჭველად ჩაუფიქრდება თავის ბედ-იღბალს; ვინც კი ასეთ საგნებზე დაიწყებს ფიქრს, იგი არ მოკვდება, იგი ცოცხალია.

ჩვენზე, ქართველებზე, რა ითქმის? გვაქვს დღეს ჩვენ „ქართული ისტორია“, თუ არა? შეგვიძლიან დღეს წარმოვიდგინოთ ჩვენი კულტურული წარსული? იფიქრა ვინმემ ასეთს შრომაზე? გადაჭრით უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ, ქართველებს, ჯერ-ჯერობით არა გვაქვს ჩვენის ისტორიულ წარსულის შესახებ მიუდგომელი, ჭეშმარიტი მოთხრობა. ჩვენ ხშირად ვიკვეხით: „რანი ვიყავითო“! მაგრამ სიტყვის სროლას რა ჭკუა აქვს? როდესაც ამ სტრიქონებს ვსწერ, მე სახეში მყავს ჩვენი ინტელიგენცია. ჩვენს მეცნიერებზე მე არას ვლაპარაკობ, ვინაიდან მათ ხელში სულ სხვა იარაღი უჭირავთ. მაშასადამე, ჩვენს ინტელიგენტს, საზოგადოდ მკითხველს, აქვს საშუალება გაიგოს, ჩაიხედოს თავის წარსულში? არა! ჩვენ მოგვეპოვება ისტორიული შრომანი, მაგრამ ისინი გამოსადეგნი არიან სპეციალისტებისათვის, უბრალო მკითხველი კი მათ ვერ მოერევა. არის მშვენიერი ისტორია საქართველოსი ბაქრაძისა, ბროსესი, მაგრამ ისინი ერთის მხრივ ძლიერ დაძველებულნი არიან, მეორეს მხრით — შეეხებიან საქართველოს ძველს დროს, და ამას გარდა ისეთის კილოთი არიან დაწერილი, რომ მხოლოდ სპეციალისტი, განგებ მომუშავე ისტორიკოსი თუ შეითვისებს. გვაქვს აგრეთვე ახალი შრომა ბ. ი. ჯავახიშვილისა, ახალის ცნობებით, მისალით სავსე, თანამედროვე ისტორიულ შეხედულების მიხედვით შედგენილი; მაგრამ ეს შრომა იმდენად ფართოა, იმდენად ღრმად ეხება ისტორიულს კითხვებს, რომ უბრალო მკითხველი უხერხულ მდგომარეობაშია. **უბრალო მკითხველმა**, რომ მოიწადინოს, ჩვენის წარსულის გაცნობა, ვერ ახერხებს; სპეციალურ შრომების კითხვას-კი ყველანი ვერ შესძლებენ. სასირცხვილო ამბავია! ერს, რომელსაც თავისი თავი შეგნებულად მოაქვს, ვერ მოუცლია თავის ისტორიის დასაწერად, მაშინ, როდესაც ეს საგანი უსაჭიროესი რამ არის.

ჩვენი სკოლა ძლიერ ცუდ პირობებშია ჩაყენებული. ჩვენ სულ არა გვაქვს საყურადღებო სახელმძღვანელოები. ქართველს გიმნაზიაში არ არის ქართველ ისტორიის შესასწავლი სახელმძღვანელოები. რაც არის, არაფრად არ ვარგა. რაც დაწერილა აქამდის, ყველა მოკლებულია მეცნიერულს ღირსებას. რას იძლევა ახალი სახელმძღვანელო ბ. ქვარიანისა? კარგის ენისა და მწყობრ მოთხრობის მეტს არაფერს. თუ ჩვენ საზოგადო პრესაში იმართება ბაასი სკოლის სახელმძღვანელოზე, ამას იმ მოსაზრებით ჩავდივართ, რომ თითოეული ახალი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე დაწერილი, ქართულს სკოლაში სახმარებლად, მით უმეტესად, ისტორიული სახელმძღვანელო, საერთო ეროვნული საქმეა. ამ სახელმძღვანელოების შემწეობით ჩვენმა შვილებმა, ძმებმა და დებმა უნდა შეისწავლონ თავისი წარსული, **შეიყვარონ იგი**, დაჰგმონ, რაც დასაგმობია, და ადიდონ, რაც სადიდებელია. კიდევ მეტს ვიტყვით: ამ სახელმძღვანელოების შემწეობით ჩვენმა შვილებმა, ქვეყნის მომავალმა, უნდა შეითვისოს ის, თუ რა **წადიდი** შეტანეს ქართველებმა საერთო კაცობრიობის კულტურულს საუნჯეში.

აძლევენ-კი ჩვენი სახელმძღვანელოები ასეთს ცოდნას, ასეთ წარმოდგენას? სრულებითაც არა! შეიყვარებენ მათ შემწეობით თავის წარსულს? საეჭვოა. ქართულ ისტორიის სახელმძღვანელოების შემდგენლები და ახალ წიგნის ავტორსაც ერთი დიდი კითხვა რჩებათ უპასუხოდ და გაურკვევლად. ეს კითხვა გახლავთ: რა არის ისტორია? რას შეიცავს ისტორია, როგორც ცოდნა? სამწუხაროდ ჩვენდა, ჩვენს ავტორებს წარმოუდგენიათ, რომ ისტორია იარაღის ტრიალი და მეფეობის ცვლაა. ჩვენ მოგვითხრობენ მხოლოდ სამხედრო ისტორიას, სამხედრო ისტორია კი შედეგია და არა დასაწყისი ისტორიულის მსვლელობისა. ჩვენს ავტორებს ავიწყდებათ, რომ ისტორიულმა სახელმძღვანელოებმა უნდა ახსნან, დაასურათ-ხატონ, თუ რა ნაირად, რა ძალების შემწეობით იცვლებოდა შინაგანი წეს-წყობილება, რანაირად იზრდებოდა გონებრივად და ზნეობრივად ერი. მაშასადამე, უპირველესი მოვალეობა სახელმძღვანელოს შემდგენელისა არის, გვაჩვენოს შინაგანი ცხოვრება, მისი ვითარება, მისი შემადგენელი ნაწილები და თანდათანური ცვლილება სხვა-და-სხვა მიზეზების შემწეობით, რომელთა შორის ომებსა და გარეშე პოლიტიკას საპატიო ადგილი უკავია. ისტორიულმა წიგნმა უნდა გვაჩვენოს, რომ ისტორიული მსვლელობა განუწყვეტელი მთელია, რომელშიაც შემდეგი დამოკიდებულია წინანდელზედ. ამის მაგივრად გვაჩვენებენ, რომელი მეფე რომლის მემკვიდრე იყო. მაშასადამე შინაგან კავშირის მაკივრად იკავენ გარეგან ქრონოლოგიურ კავშირს. ასეთ წიგნს რომ წაიკითხავთ, შთაბეჭდილება არავითარი არ დარჩება. ასეთი შრომა ფუჭია, რა უნდა მიიზიდოს, რა უნდა შეითვი

სხლის სამართლის სასჯელთა დებულების მე-129 მუხლის ძალით როგორც წერილის ავტორი გ. გვაზავა, ისე ჟურნალის რედაქტორი ვ. სურგულაძე. პალატამ ბრალდებულებს თითო წლით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა.

✦ **ციხეში გაგზავნა.** 12 ოქტომბერს, ღამით, მეტეხის ციხეში გაგზავნეს ყველა ის პირნი, რომელნიც 16 ოქტომბერს „ახალი აზრი"ს რედაქციაში დაპატიმრეს.

✦ **ნორმალური დასვენება.** დღეს ქალაქის გამგეობის სადგომში მოხდება იმ კომისიის კრების გაგრძელება, რომელმაც უნდა შეიმუშავოს სავალდებულო წესები ტფ. სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა ნორმალურ დასვენების შესახებ.

✦ **ოზურგეთის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი.** ამ დღეებში ტფილის ჩამოიყვანეს საგანგებო ეტაფით და მეტეხის ციხეში გაგზავნეს ოზურგეთის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი ასათიანი, რომელმაც კანტორიდან ყალბის საბუთებით 105,000 მანეთი გასცა.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** 18 ოქტომბერს, ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამკეობის წევრთა მორიგი კრება მოჰხდა. კრებამ დაადგინა, 21 ოქტომბერს დანიშნოს კრება და მოიწვიოს ლექტორები ლექციების წაკითხვის დრ ს დასანიშნად და ლექციების პროგრამისა და წეს-რიგის შესამუშავებლად. ამას გარდა დაადგინა, სახალხო უნივერსიტეტის წერა-კითხვის სკოლების მზრუნველნი მოკლე ხანში აირჩიოს.

✦ **ტერორისტების შეპყრობა.** 17 ოქტომბერს, ნუხის მაზრის სიფელ ნიჯაში პოლიციას დაუპატიმრებია 8 ტერორისტი, რომელნიც ბაქოდან ჩასულან კაცის მოსაკლავად და ადგილობრივ ფოსტის გასაძარცვად. ტერორისტებს აღმოსჩენიათ ორი რევოლვერი, ორი გაპარული ყუმბარა და ასაფეთქებელი ნივთიერებანი.

✦ **ქართული კლუბი.** 17 ოქტომბერს, განზრახულ ქართულ კლუბის წევრთა საერთო კრება მოჰხდა. კრებამ აირჩია კლუბის მამასახლისნი: ნ. გ. ქართველიშვილი, კ. ი. მაჭავარიანი, გ. ი. სერებრიაკოვი, ზ. ი. ანდრონიკაშვილი, დ. ა. გურამიშვილი, დ. ე. ჩოლოყაშვილი, შ. ა. მიქელაძე, შ. ვ. ალექსი მესხიშვილი, ნ. ა. ტარსაიძე და ი. გულისაშვილი.

✦ **ა. ი. სარაჯიშვილის ლექცია.** დღეს, 20 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, ბირჟის დარბაზში (შუა ბაზარი) ა. ი. სარაჯიშვილი წაიკითხავს მგსამესა და უკანასკნელს ლექციას შემდეგს თემაზე: „მსგავსება „ვეფხის ტყაოსანისა" საშუალო საუკუნოების რაინდულ რომანებთან".

✦ **ბოდბის მონასტერი.** 20 სექტემბერს ბოდბის მონასტრის კედელი ერთს ადგილს გაუსკდარა. კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ თავის კრებაზე დაადგინა, 1.025 მანეთი გადასდოს კედლის შესაკეთებლად და ამას გარდა სთხოვოს უწ. სინოდს, დაიცვას მონასტერი დანგრევისაგან.

✦ **ტრამვაი.** 17 ოქტომბერს, უტოჩკინის ფრენის დროს, ტრამვაის ტფილისში შემოსავალი ჰქონია 3.800 მანეთამდე.

✦ **საზოგადო კლუბი.** შაბათს, 23 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე საზოგადო კლუბში (ბირჟის დარბაზი) გ. ა. ჯაბარი წაიკითხავს ლექციას შემდეგს თემაზე: „მუნიციპალური პროგრამა და ქალაქ ტფილისის ბიუჯეტი". კრებაზე დასწრება არა წევრთაც შეუძლიანთ.

✦ **საფერშლო სკოლა ქალთათვის.** 17 ოქტომბერს, ტფილისში, ოლგას ქუჩაზე, გაიხსნა საფერშლო სასწავლებელი. სასწავლებლის კურთხევას ხალხი ბლომად დაესწრო.

✦ **ქალაქის გამგეობაში.** ტფ. ქალაქის გამგეობის მდივნად დანიშნულ იქმნა ნაფიც ვექილის თანაშემწე ი. ა. თამამშევი.

✦ 18 ოქტომბერს პოლიციამ ტფილისში 12 უპასპორტო შეიპყრო.

პატარა ფელეტონი

დღის ვარამი

ერთს ევროპის მუზეუმში, სახელდობრ კრაკოვისაში, სხვათა შორის შეკრებილია კაცობრიობის მიერ მოგონილი სატანჯი იარაღები, ყველა ის, რითაც-კი კაცი—კაცს უშხამავდა და უსწრაფებდა სიცოცხლეს. ხმლებთან, შანთებთან, ხუნდებიან, სახრჩობელა-გილიოტინებთან და ხორცის საგლეჯ მანქანებთან ერთად, ჰკიდია პატარა ფირფიტაც, რომელზედაც რუსულად აწერია: „პოლონურ ენაზედ ლაპარაკი აკრძალულია". ეს საოცარი სატანჯი იარაღი განთქმულ გენერალ მურავიოვის მოგონილია და ევროპიელთ დიად სატანჯ იარაღებთან ერთად მოუქცევიათ.

ასეთი კვალიფიკაცია ბევრ ქართველისათვის საოცარი უნდა იყოს. თუ ასე წავიდა საქმე ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში, როგორც დღეს მიდის, მაშინ, მერწმუნეთ, ბევრისთვის სრულებით გაუგებარი დარჩება ამ ფირფიტის საშინელი მნიშვნელობა, ცხადზედ უცხადესი განათლებულ ევროპაელთათვის.

***

— ბატონო, ივანე პეტრეს ძეს! გეტყობათ, ქართულ გაზეთს არ იწერთ? ვეკითხები ჩემს ნაცნობს, რომლის მაგიდაზე სამივე ჩვენებური რუსული გაზეთია გადაშლილი.

— განა ეს ქართული არაა, მიმითითა მან სამთავეზედ.—რაო, ხომ რუსულად არიან ნაწერნი?

მე მწარე ღიმილმა დამიპრანჭა ტუჩები, შემატყო ნაცნობმა და გამარტა: ქართველი ინტელიგენცია შიგ მუშაობს, ჩვენებურს წვრილმანსაც კი მათში არკვევენ. ყველა ჩვენებურს წადილს, თუ ოცნებას დასაწყისიც და ბოლოც მათში აქვსთ.

— შინაურებს ხომ ქართული კითხვა და კილო მიავიწყდათ. თვით თქვენც ქართულს ჰაზროვნებას გადაჩვეთ?..

— გულ ახლით გეტყვით: შინაურებიც და მეც დიდიხანია მაგას გადაჩვეულნი ვართ; იმიტომ ვუმადლით ამ გაზეთებს, რომ რუსულად მაინც ჩვენებურს ავ-კარგზე გვეგებასებიან. ან განა მარტო მე ვუმადლი? ჩვენისთანები მრავალ არიან, ამასთან ერთად დიად სამსახურსაც გვიწევენ,—ჩვენს ერს ეცხოელებს აცნობებენ, — მეტადრე რუსეთს, რომელმაც ჯერეთაც ჩვენი გაჭირვება არ იცის და ჩვენზე ველური წარმოდგენა აქვს.

— უმაღლესი სწავლა, რომ მიიღეს, ბატონო ივანე, იმიტომ ხართ ამითი შორს-მჭვრეტელი პოლიტიკოსი!... გეხსომებათ, რომ ამ ომიანობის დროს იაპონელები ამბობდნენ. რუსებთან ჯაშუშებიკ კი საჭირო არაა,—მათი გაზეთები ყოველ მხრით საქმეს ხელთ გვაძლევენო დაფიქრდით, სამი ჩვენი პირდია გაზეთი, ასეთსავე სამსახურს უწევენ უცხოელთ?

ივანე პეტრეს ძემ, კარგა ხან, დაფიქრებულმა, მიპასუხა: ვერ დაგეთანხმებით,—სომხებსაც აქვთ ხომ რუსული გაზეთი?...

— ერთი განა? ხაჩატურიანცისა, რომელსაც რეტროგრადსა და ბახინჯურს ეძახიან ჩვენები? მე კი დიდად ვაფასებ მას,—იგი უცხოელთ უფრო აცნობს სომხებს და სომხებისას, მხოლოდ შესანიშნავსა და საჭირო რამეს.

ივანე პეტრეს ძე ფანქარით რაღაცას გაცხარებით ჰხატავდა და ბუბლ-შენაოჭებული სდუმდა.—ამაზე რაღას იტყვით, ივანე პეტრეს ძევ, რომ ისინი შეძლებით ჩვენზე მეტნი არიან და გაზეთი-კი ერთი აქვთ? მერწმუნეთ, მათი შეძლება რომ ჩვენ გვქონდეს, სულ რუსულ გაზეთებად ვიქცეოდით! ნაცნობი სდუმდა და გადაპრით არას ამბობდა. გამოვემშვიდობე, წამოვედ.... ბულვარზე რამოდენსამე ჩვენს მაღალ ინტელიგენციას წავაწყდი; იგინიც ჩვენებურ სამის გაზეთის ბედღბალზე კამათობდნენ. ერთი მოკამათეთაგანი, რაღაც ფულის მიღებას ელოდა და გატაცებით ამბობდა: „ბევრს-კი ვერა და 15,000 მანეთს-კი დავდებ, რომ გავაჩაღოთ ერთ-ერთი და საუკეთესო ძალები იქ შევჯგუფოთო"....

***

ვიცნობდი ეშხიანს, გავლენიანსა და კულტურულსანს ბანოვანს. იგი პროლეტარულ თვალ ხედვით იყო გატაცებული. პარტიულს გმიოებს აღტაცებით უსმენდა, მათი ქებადიდება და ტრფობა ასულდგმულებდა და ამავე დროს მას შეეყვარებული ჰყავდა რეტროგრადი, ფაქიზ ულვაშებიანი ბურჟუა, მის ხვევნა-კოცნასა და ალერსში ამოსდიოდა სული.

გული მტკივა, როცა ჩვენს საზოგადოებაში მესმის სარჩლი და თავ-გამოდება სამშობლო ენისადმი და ამასთან მუდმივ ვუმზერ მის ფერხთა-ქვეშე თელვას სკოლებსა, ოჯახებსა, ქუჩა-ბულვრებსა და საზოგადო კრებებზე. მწარედ მაგონდება ბანოვანი თ ვისის ქცევით... დეე, ჩვენმა წრემ, გადაბირებისკენ პირბრუნებულმა, გინდაც იპარპაშოს ამ უგვანობით! — ცეცხლი ისაა, რომ ჩვენის ხალხის შესახებაც გაისმა ამ ახლო ხანს გაზეთებში: „იგი სკოლებში რუსულს თხოულობსო!" როგორღაც არ მჯერა: განა ხალხი არ იყო, რომ ჩაკეტეს და ბევრგან დაანგრიეს ის სკოლები, რომელნიც თავიანთ რუსულით, საზიზღრად მიაჩნდათ? განა ხალხი არ დაესხა და არ გამოისტუმრა ქალაქებისკენ სოფელში რუსულ ტიკტიკის ანაბარა მასწავლებლები? ეს გუშინ იყო და მრავალი გვახსოვს...

ზ. გულისაშვილი.

„სიმახინჯის" დამახინჯება

(ბ. შალვა მესხიშვილს)

ყველასა აქვს ნება გამოსთქვას თავისი აზრი ამა-თუ-იმ ლიტერატურულ ნაწარმოებზე—მოიწონოს თუ დაიწუნოს. ყველასა აქვს ეგრეთვე ნება არ ჩაუკვირდეს ნაწარმოებს, — არც-კი წაიკითხოს, მხოლოდ ამ შემთხვევაში ასეთი პირი ჰკარგავს უფლებას საჯარო მსჯელობა იქონიოს ამ ნაწარმოებზე.

ბ. შალვა მესხიშვილმა სწორედ ამ მხრივ შესცოდა „სიმახინჯის" წინაშე.

როგორცა ვთქვით, ყველასა აქვს უფლება მოიწონოს თუ დაიწუნოს ლიტერატურული ნაწარმოები, მაგრამ ნება არავისა აქვს ავტორს წამოადოს ზურგზე სულ უცხო და ველური აზრები.

ბ. მესხიშვილი არ მოერიდა სწორედ ამ უხერხულობას: თავისი მსჯელობის სათავეში „სიმახინჯის" აზრს ერთი-ორი სიტყვა გამოაკლო, ერთი-ორი დაუმატა, ამ გადამახინჯებულ საფუძველზე დაამყარა ვეებართელა ფელეტონი და, ყველას მოგეხსენებათ, რა ტრუიზმების კორიანტელიც ააყენა!

ნეტა ვისთვის, ან რისთვის იყო საჭირო, ან რა შუაშია „სიმახინჯე", იმის დასამტკიცებლად რომ კარგი კარგია, რადგანაც კარგია?

სად არის „სიმახინჯეში" ნათქვამი, რომ ყველა ლობიოს ქოთანს უნდა მოუჯდეს და უკეთეს მომავლისკენ არ ისწრაფოდეს? სად არის ნათქვამი, რომ მსხვერპლი და ბრძოლა საჭირო არ არის, განათლება მდიდართა უპირატესობაა და სხვა ამგვარი მარგალიტები, რომელთაც ასე მოურიდებლად ახვევს ავტორს ბ. მესხიშვილი?.

ვერ დავსწამებთ ბ. მესხიშვილს, რომ მას სითამამე აკლია!

გულადობა კარგი თვისებაა, მაგრამ ცოტა ზურგიც მაგარი უნდა გვქონდეს!

ბ. Homo-ს რეცენზია „სიმახინჯეზედ" ორიოდე დღით ადრე დაიბეჭდა ბ. მესხიშვილისაზე და თუმცა არც ის უალერსებს ბ-ესას, მაგრამ ავტორი იმის მადლობელი მაინც არის, რომ ბ. Homo პატიოსნურად გადმოქვცემს პიესის შინაარსს, რაც ვერ შესძლო ბ. მესხიშვილმა.

წარსულ ზაფხულს, მოკლე წერილში („თეატრი და ხელოვნება") გამოვსთქვი, რომ მუსიკის დაფასება „შინაურულად" შეუძლებელია, რადგანაც განსაკუთრებით ეს დარგი მოითხოვს ღრმა თეორეტიულს მომზადებას, ჩვენ-კი იქამდის მოუმზადებლები ვართ, რომ უბრალო ლიტერატურული ნაწარმოების გარჩევაც-კი გვიძნელდება მეთქი.

ბ. მესხიშვილი ხელ-ახლა ამტკიცებს ამ აზრს.

„სიმახინჯე" ისეთი მდაბიო და მარტივი გასაგებია, რომ მისი გადამახინჯება თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ბ. მესხიშვილმა ეს შეუძლებელიც-კი შესძლო.

„სიმახინჯეში" გარკვევით არის ნათქვამი:

1) ყოველგვარი განვითარება ექვემდებარება ბუნებრივს კანონებს და ხელოვნურად მისი შექმნა უაზრობაა.

2) ბარტყი ბუდიდგან არ უნდა ამოფრინდეს, ვიდრე ფრთები არ გაუმაგრდება, ვინაიდგან **ყოველს** ამგვარ ცდას მოსდევს **აუცილებელი** დაღუპვა; ბუდე ასეთი ბარტყისთვის უმაღლესი მწვერვალია და უფრიოს შეთამაშება შეუძლიან არა მხისკენ, არამედ უფსკრულისკენ.

3) უმაღლესი სწავლა (მით უფრო ზედა-პირული) არ შეადგენს ადამიანის უმთავრეს ბედნიერებას.

4) მრავალი ახალგაზდობა (განსაკუთრებით ქალები) ილტვიან უმაღლეს სასწავლებლისკენ პსიხიურის მოარულით შეპყრობილნი და არა მეცნიერების გულისთვის; იხმამავენ სიცოცხლეს, სნეულდებიან უკიდურესის სიღატაკით, ტყავს აძრობენ შშობლებს, საზოგადოებას, რომ ეს „მეცნიერება" გარეგნულ სამკაულად გამოიყენონ.

5) სულით და ხორცით სნეული ერი უდღეოა და, ვინც-კი თავისი ერის მომავალზე ჰფიქრობს, უნდა თავი დაანებოს უაზრო „მაღლა-ფრენას", გაიმაგროს ხორცი, სული, ძვალი, რბილი, სისხლი, მოიკრიბოს არსებობის უნარი, ცხოვრების ენერგია და უმაღლეს განათლებასაც არ დაეწაფოს იმ პირობებში, როდესაც პირადი მისი განათლებაც პრობლემატიური ხდება და შთამომავლობასაც აღმოფხვრას უქადის.

„თუ ადამიანსა აქვს მისწრაფება დიად ბედნიერებისკენ, უკეთეს მომავლისკენ—დაე გასწიოს იქით!"

გასწიოს, ბ. მესხიშვილო,—„სიმახინჯე" ამას როდი უმლის. მაგრამ, როდესაც სულით და ხორცით სნეულს დაუკარგავს სიცოცხლის უნარი და ესაჭიროება განკურნვა, როდესაც მისი დასუსტებული მხედველობა ჭრაქსაც ვერ უსწორებს თვალს და ითხოვს მოჩრდილულს ოთახში დასვენებას, დიაღ, როდესაც ასეთ სნეულს ქალაქის ფრთები გამოუსხავს, საზოგადოებისა და მშობლების ზურგები აუყუდებია ცისკენ და ამ კიბით მიფოფხავს მზისკენ, ჩვენ შეგვიძლიან შევძახოთ: „იკაროს, ჩამობრძანდი ძირს: შენც მთლად დაბრმავდები და ჩვენც ზურგი გადაგვატყავე!"

აი, ასეთ იკაროსების წინააღმდეგია „სიმახინჯე" და გამოურკვეველი რჩება, რად დასჭირდა ბ. მესხიშვილს ამოდენა მრისხანე მონოლოგები და აუარებელი გაკვირვებითი ნიშნები!

ან ვის ეკუთვნის ეპიგრაფი: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის"?.. უნდა ვიფიქროთ, რომ ბ. მესხიშვილი ამ აღფრთოვანებულს ეპიგრაფს უძღვნის „სიმახინჯის" სონას, შაქროს და სხვა მათ გვართ. დიაღ, ბ. მესხიშვილო, ცუდად, ძალიან ცუდად ჩაივლის მათი „განწირული სულის კვეთება", რადგანაც მათი მერანი ოთხივე ფეხით დახუთული ჯაგლაგია და მისგან უვალი გზის ტკბნა მხოლოდ დონკიხოტებისთვის არის წარმოდგენილი...

კმარა... მე მსურდა მხოლოდ დამენახვებინა, რომ „მაშ გაუმარჯოს მდიდართა მონოპოლიას!" და სხვა ამგვარი ახალგაზრდური შეყვარება საკმარისი არაა სერიოზულ მსჯელობისათვის.

იტალიელების აზრით რუს-არტისტებმა სიმღერა არ იციან: იმათ აკლიათ სიმღერაში ის, რასაც ჰქვიან bel canto; რუსის მომღერლები იოლად მიდიან მხოლოდ მაღალის do-თი, —დააჭექებენ და ვაშას იწვევენ...

ბ. მესხიშვილიც მაღალს do-ს ხშირად აჭექებს, მხოლოდ აკლია მსჯელობის bel canto...

„სიმახინჯის" ავტორი.

როდის და რა მიზეზის გამო განშორდა სომეხთა ეკკლესია საქართველოსას?

„სახალხო გაზეთის" № 114-ში იყო მოთავსებული ბიბლიოგრაფიული შენიშვნა ბ-ნ „Artemius"-ისა ვენის მხითართა სომეხ-კათოლიკე ბერის ნერსეს აკინიანის თხზულების შესახებ: „ქართველთა კათოლიკოსი კირიონი". (სომეხ-ქართველთა ურთი-ერთობის ისტორია. ვენა, 1910 წ.). ამ შენიშვნის ავტორს იქვე მოჰყავს უმთავრესი აზრები მოხსენებულ თხზულებისა, რასაც ჩვენ არ ვეთანხმებით.

პირველად უნდა შევნიშნოთ, რომ ბ-ნი აკინიანი ვერ ჰხატავს მართლად თავის აზრს, როცა შემდეგ კითხვას აყენებს: „რისთვის ჩამოშორდა სომხისას საქართველოს ეკლესია?" რადგანაც არა საქართველოსი, არამედ სომეხთა ეკლესია განშორდა უკანასკნელს, როდესაც უარ-ჰყო დადგენილებანი ქალკიდონის კრებისა და მიიღო „წმიდაო ღმერთო"-ში მწვალებრივი მიმატება: „რომელი ჩვენთვის ჯვარს ეცვა". ამ სახით, მეშვიდე საუკუნეში კი არა, როგორც ფიქრობს ბ-ნი აკინიანი, ბევრად უფრო აღრე მოხდა მსოფლიო ეკკლესიიდგან სომეხთა განდგომა, რაც, ცხადია, შედეგი იყო მათგან პოლიტიკურის მოსაზრებით მართლმადიდებელ ეკლესიის დოგმის შებღალვისა. ამ საგანზე სხვა-და-სხვა მეისტორიეთა აზრების შედარებიდგან ცხადად სჩანს შემდეგი: რიდესაც მეფე არკადიმ განუცხადა სომხებს უარი ფეროზის წინაღმდეგ დახმარებაზე, იგინი გახდნენ იძულებულნი ჩამოეგდოთ სარწმუნოებრივი განხეთქილება ბერძნებთან და ამით აეცდინათ თავიდგან სამშობლოდგან [illegible] სახლება, რომელსაც, [illegible] შემთხვევაში, მათ უქადიდა ფეროზი. ამ გარემოებამ, რა საკვირველია, დიდად მოუმზადა სომხეთში ნიადაგი პეტროს მკაწვრელის მონოფიზიტურ მოძღვრებას, რომელიც სომხებმა 491 წლის საეკლესიო კრებაზე ქალკიდონის კრების შეჩვენებითა და „სამ წმინდა არს" საგალობელში ხეჩეკარის მიღებით საბოლოდ დაიმკვიდრეს. „წმინდაო ღმერთო"-ში მოხსენებულ დამატებას არ იწყნარებს მართლმადიდებელი ეკკლესია, რადგანაც ამით ვნება მიეწერება არა მარტო სამების მეორე პირს, არამედ სამთავეს და მაშასადამე არის მწვალებლობა. და ამისათვის მიიღო-რა უკანასკნელი სომეხთა ეკკლესიამ, ამით თავის თავად იქმნა განდევნილი მართლმადიდებელ ეკკლესიიდგან კიდევ მეხუთე საუკუნეში.

რაც შეეხება კირიონსა და აბრაამს შორის განხეთქილებას ცურტავის კათედრის შესახებ, ეს პირდაპირ ჭლიღადებს, მიუხედავად აკინიანის დამტკიცებისა, წინაღმდეგ სომეხთა ეკკლესიისა, რომელიც მართლმადიდებლობიდგან განშორების შემდეგ მის მაგიერ, რომ უკანასკნელს დაბრუნებოდა, ყოველს ღონისძიებას ხმარობდა მწვალებლობაში შეერაცხა საქართველოს ეკკლესიაც. ასეთი მიზანი ედო სარჩულად სომეხთა კათოლიკოს აბრაამის მოთხოვნილებას, რომ შესრულებულიყო სომხურ ენაზე ლიტურგია ცურტავში მაშინაც კი, როცა იქ მცხოვრებნი თითქმის სულ ივერიელნი იყვნენ. მაგრამ ამას მან ვერ მიაღწია, რადგანაც კირიონში ისეთი კაცი ნახა, რომელსაც შეეძლო საქართველოს ეკკლესია უვნებლად დაეცვა სომეხთა მწვალებელთაგან.

ჩვენის აზრით ამ სახით უნდა იქმნეს წარმოდგენილი მიზეზი მართლმადიდებლობიდგან სომეხთა ეკკლესიის განდგომისა და არა ისე, როგორც ფიქრობს ბ-ნი აკინიანი, ვითომც კირიონის პირად ანგარიშებისა გამო აბრაამთან შეტაკებას გამოეწვიოს სომხისაგან საქართველოს ეკლესიის განშორება 609 წელს. N.

ბოლოდროინდელი ამბები

დ. ხონი. ხონის ბაზრის ბოქაულმა, მრავალ სიგმირო საქმეთა მოქმედმა, სამსახურიდან დაითხოვეს. ამ ბოქაულის კაი-კაცობა ამ რამდენიმე ხნის წინად ვაცნობე მკითხველებს. ეხლა მაგაზედ არაფერს ვიტყვი. ხანგრძლივმა რეგიზიამ, როგორც იყო, ის მოაშორა ხონს. და მადლობა ღმერთს, რომ დღეს ხონი თავისუფალია მისის მოქმედებისაგან, მისი ადგილი დაიჭირა ახალმა ბოქაულმა, რომელიც ამ დღეებში ჩამოვიდა.

ბაზრის დეშუტატების არჩევნები, რომელიც მოხდა ჯერ კიდევ ბაზრის ძველ ბოქაულის დროს, ამას წინად დასრულდა. არჩეულ იქმნა ბაზრის დეპუტატად ხელოსნების მხრივ ერ. კაკაბაძე. ვაჭრებმა კი თავიანთ შორის აირჩიეს ერისტო ჭაგჭანიძე. ამაგე დღეს არჩეულ იქმნა სარეგიზიო კომისია. არჩეულნი მოახდინა ხონის რაიონის ბოქაულმა აქვ. ფადაგამ. ერ. კაკაბაძე წინადაც აირჩიეს ხელოსნებმა, მაგრამ გუშინდელმა ბოქაულმა არჩევნები ჩაიდუდის წესი დაარღვინა.

სახელოსნო სკოლამ ამ დღეებში გააკრა განცხადება, დაბეჭდილი რუსულს ენაზე. განცხადება ატყობინებს ხალხს, რომ სკოლაში იყიდება მოწაფეების მიერ გაკეთებული ნივთებიც. ხალხისათვის გასაგებად სასურველი იყო განცხადების ქართულ ენაზე დაბეჭდვა.

ივ. შარდაშიძის უფასო სკოლის საესრგებლოდ 9 ოქტომბერს გაიმართა სტუდენტთა-სალიტერატურო საღამო. წაკითხულ იქმნა რამოდენიმე ლექსი ბ-ნ ილია ბახტაძისა და ქ-ნ ა. ბახტაძის მიერ. ბიჭვედმა აკაკის ორი ლექსი წაიკითხა, მეორემ კი გრიშაშვილის ერთი ლექსი. წაკითხულ იქმნა ერთი რუსული ზღაპარიც. დეტერატურულ განეოფილებას მხოლოდ ეს ოთხი ზღაპარ-ლექსის წაკითხვა შეეძლოთ.

ხონის ინტელიგენცია არ სცხრება. აქიდგან და იბერის წინააღმდეგ კვლავ აგრეცელებს ჭორებსა და სოფლებს მათს ბიჭოგრებსს, ერთი ბიჭი, რომელსაც თავი დიდ ბუმბერაზად მოაქვს, წინად „სახალხო გაზეთს" ჰკითხულობდა; ახლა კი მან გაზეთის ყიდვა შესწყვი-

ტა, მხოლოდ იმის გამო, რომ შიგ იბერისა და ქალაქისის წერილები იბეჭდება. ამ ფაქტს კანმარტება არ ესაჭიროება. **იბერი.**

ქვემო-იმერეთი. სამინდის ტბაზე ამ ყინულ უკვე დასრულებულია და მოსაგდის შესახებ შეიძლება რამე ითქვას. წელს მოსაგალი კარგი იყო მეტის მეტად კარგ ამინდების წყალობით. ქვემო იმერეთის კი ხანია, არ დირსებია ასეთი უხვი წელიწადი. დესიატინა მიწაზე დასხდომებია 100—110 ფუთი სამინდი მოგიდა. ეგზეა ძლიერ მადლიერია წელგანდელის მოსაგალით., მართალია ბლეჩატოს სიდარბეს ეგ ვერ უშველის, მაგრამ გაჭირვებას ტოტალი შეუმსუბუქებს.

აქილესი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. შაბათს, ქართულმა დრამატიულმა დასმა ხელმეორედ წარმოადგინა ბ-ნ ნ. შიუკაშვილის ახალი დრამა „სიმახინჯე". ამ პიესას ჩვენი მსახიობები ისე ბწყობრად და კარგად ასრულებენ, რომ იმედი გვქონდა, ქართველ საზოგადოებას მიიზიდავდა, მაგრამ იმედები გაგვიცრუვდა: ხალხი კვლავ ძალიან ცოტა დაესწრო. წარმოდგენით კი ჩვენმა მსახიობებმა პირველზე უკეთესად წარმოადგინეს. ქ-ნი ლოლუა გაცილებით უკეთესად ასრულებდა თავის როლს; ზოგიერთი უხერხული მომენტები დიდი პაუზების დროს, არა ბუნებრივი ინტონაცია, რომელიც პირველ წარმოდგენაზე ემჩნეოდა, ეხლა რამდენადმე თავიდან აეცილებინა. ქ-ნ ლოლუას, თქმა არ უნდა, სასცენო ნიჭი აქვს, და კარგი მსახიობიც დადგება, თუ მუშაობას არ მოუკლო და ჩვენმა დრამატიულმა საზოგადოებამაც კარგი მზრუნველობა გაუწია.

—

კვირას წარმოადგინეს „კრეჩინსკის ქორწინება" და „სიკვდილი ნაპოლეონისა". ორივე პიესა, თუ შეიძლება ამ ნაწარმოებებს პიესა დაერქვას, მსახიობებისთვის არის დაწერილი. „კრეჩინსკის ქორწინება". ძველის-ძველი პიესაა, და ამასთანავე ძალიან სუსტიც. მიუხედავად ამისა ამ პიესას ხშირადა სდგამენ ხოლმე როგორც რუსეთში, ისე ჩვენში. ეს აიხსნება იმით, რომ ამ პიესაში არის ერთი მომქმედი პირი, რასპლუევი, რომელიც მსახიობისთვის კარგ გამოსაცდელ როლად შეიძლება ჩაითვალოს.

კვირას რასპლუევის როლი შესრულა ბ-ნმა ალექსი-მესხიშვილმა ძალიან კარგი იყო მესხიშვილი საცოდავ, ყველასაგან აბუჩად აგდებულ, ცხოვრებისაგან გარყვნილ რასპლუევის როლში. განსაკუთრებით კარგი იყო უკანასკნელ მოქმედებაში.

ამ სეზონში მეორედ გამოვიდა კ. მესხი და თავისი უმთავრესი როლი—ნაპოლეონი ითამაშა კ. მესხი ნაპოლეონის როლში ძალიან კარგი იქნებოდა, რომ სიტყვებს საშინლად არა სტკეპნიდეს. მეტის-მეტად ტკეპნა სიტყვებისა გრძნობათა გამოხატვას თავის ბუნებრივობას უკარგავს.

ხალხი კვლავ ძალიან ცოტა დაესწრო. **Homo.**

ტფ. ქალაქის საბჭო

18 ოქტომბერი.

ხმოსნები ზანტად იკრიბებიან. ეტყობათ, დღეგანდელი კრება არ აინტერესებთ: არც ქალაქის მოურავისა და არც კამგეობის წევრის არჩევა არ არის დღეს დანიშნული. ძლივ-ძლივობით კრება იწყება საღამოს 8 ს. 45 წამს ა. ი. სტალოვის თავმჯდომარეობით და 27 ხმოსნის თანადასწრებით. ქანდარაზე არა სხანს ხალხი. იქ მომეტებულ ნაწილად ქალაქის თვითმმართველობის წევრები მოსამსახურენი არიან.

მდივანი კითხულობს წარსულის კრების ოქმს, რომელსაც საბჭო უცვლელად ამტკიცებს.

ხმ. ი. ანნინსიანს შეკითხვა შეაქვს კამგეობაში: მართალია თუ არა, გაზეთებში მოთავსებული ცნობა, ვითომ კამგეობა თავის დროზე არ უგზავნის ქალაქის სტიპენდიანტს მირზოევის სტიპენდიასო. კამგეობის წევრნი ერთმანეთს კადაჭხედავენ და შემდეგ შეკითხვაზე პასუხს აძლევენ, სიადანაკ სხანს, რომ მირზოევის თანხა ხელუხლებელია, თავის დროზე სტიპენდიის გაგზავნა შესაძლებელი ეოფილა, მაგრამ კამგეობის წევრთ, ასე ვსთქვათ, კადავიწყებია თავის დროზე ფულის გაგზავნა და უნებლიეთად ჩაუყენებიათ სტიპენდიანტი გაჭირვებაში.

ხმ. იოანნისიანი კამგეობას მეორე შეკითხვას აძლევს: რამდენად სამართლიანია ქალაქის იურისკონსულტის თანაშემწის ქანანოვის დავა, რომელიც ქალაქს 2000 მანეთსა სთხოვს მოგებულ საქმის პროცენტებად.

კამგეობა განმარტავს: კამგეობას ქანანოვთან პირობა აქვს, რომლის ძალითაც ქანანოვმა ჯილდოდ უნდა მიიღოს 10 პროცენტი იმ ფულისა, რომელსაც იგი ვისმეს კადაახდევინებს ქალაქის სასარგებლოდ, ხოლო ამ შემთხვევაში 2.000 მანეთის მოთხოვნა უსაფუძვლოა, რადგან ის ფული, რომლის 0/00/0-საც თხოულობს ქანანოვი, უფრო კამგეობის წევრთა მეცადინეობით იქმნა ადებული, ვიდრე ქანანოვისაო.

კამგეობა საბჭოს ჭეშიდება დაწვრილებითი მოხსენება წარუდგინოს მომავალ კრებას ამ საქმის შესახებ და საბჭოც კმაყოფილდება.

ხმ. ინჟენერი ბარტი ეკითხება კამგეობას: მისეულის ქუჩაზე, სადაც ახლა ქვას აგებენ, ცემენტის მაგივრად კირს რად ჭხმარობთო, რომელსაც ცემენტი უფრო მკვიდრიაო. კამგეობა უპასუხებს, რომ... იქ მუშაობა უკვე დაწყებულია... ახლა დაგვიანებულია ეს შეკითხვა... სხვებიც ხმარობენ კირსაო და სხვა. კამგეობა ჭეშიდება საბჭოს მომავალ კრებაზე დაწვრილებით მოხსენება წარმოადგინოს ამ საქმის შესახებ.

ხმ. ბაბალოვს უკანასკნელი შეკითხვა შეაქვს: რა საჭიროებამ კამოიწვია, რომ ქალაქის საყასბოსთან არსებულ მიკრნსკოპიულ სადგურის მოსამსახურეთა ადგილზე ფერშალები დანიშნეთ, იქაური სამი მოსამსახურე კი, მათ შორის ნესტორ ცერცვაძე, უადგილოდ დასტოვეთ; ამას კარგა წინადვე აცნობეთ, თუ არა ამ დათხოვნილ მოსამსახურეებს, რომ ისინი უნდა დაკეთხოვნათ.

კამგეობა უპასუხებს: მიკრნსკოპიულ სადგურის მოსამსახურეებთან კამგეობას არავითარი პირობა არა აქვს დადებული, ამიტომ კამგეობას თავის მიხედვით შეუძლიან, როცა უნდა, დათხოვოს მოსამსახურე და არც მოვალეა დათხოვნის შესახებ მოსამსახურეებს წინადვე აცნობოს. კამგეობა ხმ. ბაბალოვს მაინც წინადადებას აძლევს, ამ საქმის გამო, თუ ჭსურს, წერილობითი განცხადება წარადგინოს.

ამ შეკითხვებმა საბჭოს თითქმის ერთი საათი დრო წართვა. იწყება ფურცელში აღნიშნულ საკითხების ხანხიდვა.

საბჭო ამტკიცებს კამგეობის მოხსენებას იმის შესახებ, რომ ქალაქის მუშას შაინოვს, რომელიც დავადმყოფდა, 300 მან. შემწეობა მიეცეს.

ამტკიცებს აგრედვე კამგეობის მოხსენებას: მიეცეს ნაძალადევში სახალხო წარმოდგენების გამმართველ წრეს ქალაქის სახლი, ბერეზოვსკისეული (6 ოთახია) უფასოდ 5 წლის განმავლობაში.

საბჭო შემდეგ ირჩევს სამს წევრს და სამს მის კანდიდატს ქალაქის უძრავ ქონებათაგან სახელმწიფო გადასახადის შემკრებ საგუბერნიო საკრებულოსათვის.

ხმ. ინანნის